

# შესტაფონის

# ბრანდი

გამოცემის  
78-ე წელი

○ 30 დეკემბერი, 2009 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №42-43 (7887-88)



## სახალწლო ჭირ-მართალი და სურვილები

მიიღია 2009 წელიც, თითქოს გუშინ იყო კარი შემოგვიღო და იმედებით აგვავესო, რომ ავერ 2010-იც გვესტუმრა... მოვიდა ისე როგორც ყოველთვის არავის არაფერს ეკითხება და იმკვიდრებს თავის ადგილს ისტორიაში.

გასულმა წელმა შეგვაგუა აზრს რომ ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო „დაიჭმუჭნა“ და დაპატარავდა, შეგვაგუა იმას რომ ოკუპანტები დედაქალაქიდან სულ რამოდენიმე კილომეტრში დგანან და პროვოკაციებს პროვოკაციაზე გვინწყობენ, გვაგუებდნენ აზრს რომ მიუხედავად ასეთი ვითარებისა ჩვენ გავიმარჯვებთ და მომავალშიც „დედას უტირებთ“ ჩრდილოელ მეზობლებს, რომელსაც მთელი ევროპა ეფერება და ეალერსება ვინძლო ნაპატიები სხეული არ გაუცივდეთ მოსალოდნელ სუსხიან ზამთარში. ამერიკა კი... ამერიკა შორსაა ბაბა და სიტყვით კი გვექაბის შენს გვერდით ვარო მაგრამ...

გასულმა წელმა კაი გვარიანი ვალებიც დაგვიგროვა ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა რომ უნდა გადაუხადონ „ძია სეიმსა“ და მის ამფსონებს,

აბა ტყუილა ვინ რას მოგცემს.

ჩვენმა საყვარელმა მეომრებმა აქ გადახდილი ომის შემდეგ ჭრილობები ეტყობა მოიშუშეს და ახლა ერაცს ეკვეთნენ მსოფლიო წესრიგის ამერიკული ვარიანტის დასამკვიდრებლად, რომ მათ ვისაც ეს ახარებს ერთგულება დაუმტკიცოთ, ხუმრობაა ხომ არაა, დაგვიპირდნენ თუ ჭკუით იქნებით ნატოშიც მიგიღებთო, ოღონდ არ უთქვამთ როდისო, ხომ დაგვარიგეს ჭკვიანად იყავით და შინაური საქმეები მოავგარეთ და მერეო.

აბა შენს ნეხვს ევროპელი ხომ არ გაგიტანს (მაგ ჭკუაზეა ზუსტად),

მაგ კი არა იქით ჭირდები მაგ საქმიზა.

სიტყვას მოჰყვა და ამ არაბ შეიხებს ნამეტანი მოწონთ ჩვენი მთა და ბარი ყიდულობენ ყველაფერს განსაკუთრებით უძრავ ქონებას ხოდა ჩვენ ვიძახით ინვესტიციებს დებენო, თითო-ოროლა პატარა საამქროს მეტი ჯერ არაფერი ჩანს, პროდუქცია რომ გამოუშვას, ქვეყანა მოლონიერდეს და ასანთი რაა ასანთი მაინც უცხოეთიდან არ შემოვიტანოთ.

რაც კაია კაია, აი გზა მართლაც „უმაღლესი“ კეთდება, ქვეყანაც მეტნაკლებად განათებული გვაქვს, საკითხავია ოღონდ რა ფასად. კი გვითხრეს ჩვენთან ეს სიკეთე ყველაზე იაფიაო მარა ის არ დაამატეს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი როგორია ამას რომ მივწვედეთო. სათქმელია ალბათ ისიც რომ მაგისტრალი პერსპექტივით სოხუმისკენ მიემართება, აწყობილი კი ამდენი წელია ზოვრეთისა და კვალითის მაკავშირებელ გზებზე გავლა შეუძლებელია არადა დაპირებები ნაღდად იყო. გზებზე მოგეხსენებათ მანქანებმა უნდა იარონ ისიც უანგარიშაით რომ წელს საქართველოში უფრო მეტი მანქანა გაყიდულა ვიდრე შარშან, აქედან დასკვნა, თუ ფული არ გაქვს მამ როგორღა ყიდულობ? ჰოდა თუ გაქვს მაშინ კეთილი ინებე და თავის დროზე ლარად რომ წამალს ყიდულობდი ახლა ათმაგი გადაიხადე, სხვა საგნებზე აღარაფერს ვიტყვი ხომ გაგივიათ ჯანმრთელობა უპირველესია. რაც შეეხება ჭამა-სმას სიტყვა არავინ დაასველოს რაც ქორნილები და ალაპები იხდება აბა საიდან?

ახლა პანა პოლიტიკაზეც ნავიჭორივით. საქართველოში ხელისუფლება მაშინ იცვლება როცა თვითონ ხელისუფლებაში ხდება ხოლმე ჯანყი.

ასე იყო „ვარდების“ დროსაც, როცა ხელისუფლების ახალგაზრულმა ფრთამ „ობოკიდებულთ“ გადაუარა ასე იქნება მომავალშიც, რადგან ოპოზიცია ჩვენთან სასაცილო ცნებად იქცა, რომელსაც როცა უნდა „გამაზავენ“, როცა უნდათ გააჩუმებენ, როცა უნდა მოატყუებენ და მასხრად აიგდებენ, რავა არაა ასე თუ? მაგალითის დასახელებას ან ბეცი მომთხოვს ან რეგენი.

ოპოზიცია ერთიანობას კი ჩემულობს მარა ეს დასაწვავი სკამი ერთია და მაგათი ამბიციების გადამკიდე ყველა ზედ რომ ვერ დაეტევა სწორედ ამიტომაც არ იქნება მათი ერთობა.

სამთავრობო რესურსიო გაიძახიან, ქვეყნის ხელისუფლებას 30-35 პროცენტი რესურსი თუ გააჩნია კია ღირსი იქ იჯდეს სადაც ზის,თუკი შენ დარჩენილი 65-70 პროცენტით ვერ უპირისპირდები და ყალფუზივით ინგრევი.

რეკოლუცია ესიზმრება ზოგჯერ ვილაცას, არავინ გაბრიყვდესო რამდენჯერ გაგაფრთხილეს ერთი ორჯერ რომ არ დაიჯერეთ გვერდებიც ხომ ავიჭრელეს აღარ გინდა ჭკუა ისწავლო? არა და ამ ბოლო დროს მე მგონი გამოცდილებამ მაინც თავისი გააკეთა, ხალხიცა და მთავრობაც მშვიდი გახდა. ეტყობა დემოკრატია ორთქლის გაშვებასა გავს. ხელისუფლება ამის მიზეზსაც აღარ აძლევს არავის, რადგან ცდილობს ეს პროცესიც თვითონ არეგულიროს.

მოდის ახალი წელი, ძველი ყავლგასული სურვილებით, თუმცა მაინც იმედით.

მოდის 2010!

საქართველო კიდევ ერთ წელს შეეგებება, ამაზე უარესი გვინახავს და გაგივილია ალბათ გაუძლებთ და გავეფონავთ, მაგრამ როდის უნდა გელირსოს ქვეყანაც ჩემო სიმშვიდე და კეთილმყოფელობა?

როდის გაგვითენდება ისეთი ახალი წელი როცა საახალწლო სუფრასთან საქართველოს გაერთიანების სასმისი აღარ დაილევა — უბრალოდ დავლოცავთ მას ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. როდის იქნება როცა არჩევნები, პიარ-ტექნოლოგიები, გაყალბებები, კანონის მირგებ-მორგებები სასაცილოდ მოგვეჩვენება, როცა ხალხი იტყვის რომ ეს არ ვარგა და ყველა გაიგონებს და დაემორჩილება. როცა „მოვეფეროთ ერთმანეთს სიტყვა კი არა საქმედ იქცევა. როცა ადამიანებს სიხარბისა და უკაცურობისათვის კანონი კი არა ქრისტესმიერი ათი მცნება დააფიქრებს და შეაჩერებს.

აი მაშინ კი ნაღდად მოვა ახალი წელი.

გილოცავ ქართველობა, მრავალს დაესწარით!



# შედეგი... პოზიციია

შფოთით დაიწყო 2009 წელი საქართველოში, ხელისუფლების ქმედებით უკმაყოფილო ხალხი აზვირთებას იწყებდა, ხოლო ფიქტიური თუ ფაქტიური ოპოზიცია მუქარის ნიადაგით აწვევდა პოზიციას. სიტყვიერი მუქარა პრაქტიკულ ქმედებაში გადაიზარდა, ასიათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში, მოთხოვნა ერთი იყო, ვადადელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა. პარალიზებული იქნა სახელისუფლო სტრუქტურები: პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, მერია, ქუჩები გაივსო საკნებად წოდებული კარავებით, ტრიბუნაზე ასულ ორატორთა კასკადი ერთმანეთს ეჯიბრებოდა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ლანძღვაში, ჩნდებოდა ახალ-ახალი მოთხოვნები, გაჩნდა აფსურდული მოთხოვნებიც გადადგეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ვითომდა ისინი ქმნიდნენ ამინდს, მათი გადადგომის შემთხვევაში ხელისუფლება ვერ მოძებნიდა მათზე უარეს ან მათ მსგავს პიროვნებებს? სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ასეთი ქაოსი, ხელისუფლებას ეყო მოთმინება ბოლომდე გაეძლო ამ ვარკვანალიისათვის? ნებისყოფით აჯობა ოპოზიციას და არა ხალხს. ხალხი დაიშალა არა იმიტომ რომ შეეგუა ისეთ ხელისუფლებას, როგორც არის, არამედ იმიტომ რომ ალტერნატივა ვერ დაინახა ოპოზიციამ. მათი უმრავლესობა სრულიად უნათო იყო.

მანც რატომ ვერ გამოიყენა ოპოზიციამ ხალხის ასეთი უკმაყოფილება და აზვირთებული მუხტი? ან რაში გამოიხატება ოპოზიციის სისუსტე?

პირველი და მთავარი ისაა რომ ოპოზიციამ არ იყო ერთიანობა და ერთსულოვნება. ეს არც იყო მოსალოდნელი საქართველოში კი არა ერთსულოვნებას უფრო პოლიტიკურად ცივილიზებულ ქვეყნებში ვერ აღწევენ. გაერთიანება რომ არ მოხდებოდა ეს ადრინდანვე იცოდნენ, მაგრამ არაფერი გააკეთეს იმისათვის რომ რამდენიმე პარტია ვთქვათ 4-5 მანც გაერთიანებულიყვნენ და ოპოზიციური სპექტრში არ გვეყოლოდა 3-5 ალიანსზე მეტი, ვერც ამას მიაღწიეს ლიდერთა პირადი ამბიციების გამო.

იყო მოთხოვნათა სრული უსუსურობა, უაზრობა და უტოპია, მაგალითად ითხოვდნენ, პრეზიდენტის გადადგომას, პრეზიდენტი რომ ნებაყოფლობით არ გადადგებოდა ეს ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ მათ იმედი ჰქონდათ აშშ ან ევროპა მოჰიკვებდა მას ხელს და წაიყვანდა, რადგან ქართველთა უმრავლესობას ასე სურდა, თუმცა ისიც ვერ დაამტკიცეს რომ ეს უმრავლესობის სურვილი იყო. ასეთი რამ მსოფლიოს ისტორიაში არ ხდება და არც საქართველოში გამონაკლისი.

არცერთ პარტიას თუ ალიანსს არ წამოუყენებიათ თავიანთი სამომავლო პროგრამები, რას გააკეთებენ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, როგორ მოაწყოებენ ქვეყნას, რას შეცვლიან არსებულში და ა.შ. ერთადერთი დაპირება იყო მხოლოდამხოლოდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება და ცოტა ხნის შემდეგ ესეც მივიწყეს. ელექტორატი დატოვეს გაოგნებული კითხვის წინაშე-ვის მისცეს ხმა და რატომ.

დედაქალაქი აქციეს მთავარ მოვლენათა ერთადერთ ეპიცენტრად, რის გამოც ვერ დაუმტკიცეს მსოფლიოს რომ ერთეული ელექტორატის უმეტესობა ხელისუფლებით უკმაყოფილოა. რადგან მსოფლიომ იცის რომ ყველა ქვეყნის დედაქალაქი ყოველთვის დღეს, მაგრამ მას რეგიონი უჭერს მხარს? საქართველოს დედაქალაქში ოფიციალურად ამომრჩეველთა მხოლოდ ერთი მეოთხედი ცხოვრობს. რას აკეთებს დანარჩენი 3/4 ამ შემთხვევაში

არაფერს, რადგან მათ არავენ უღვას სათავეში.

ყველაზე მთავარი-ფაქტიურად საქართველოში, როგორც ასეთი, პოლიტიკური პარტია არ არსებობს. არის რამდენიმე კარგი პოლიტიკური კლუბი, დებატებისა და დისკუსიებისთვის, გადის წლები, ტარდება რეგიონი თუ რეგარეგულარული არჩევნები და ამისათვის წლების განმავლობაში არცერთი პარტია არ არის მზად და მარცხს მარცხზე განიცდიან და აბრალებენ ამას გაყალბებას. კი ბატონო არჩევნები მართლაც ყალბდება. მაგრამ ქვეყანაში არის ხელისუფლების ისეთი საწინააღმდეგო მუხტი თუ ვარგისარ არჩევნები მანც უნდა მოიგო. მაგრამ ჩვენში პოლიტიკურ პარტიად წოდებულ გუნდებს აქვს მხოლოდ თავი (ისიც როგორი საკითხავია). არ აქვს ტანი და ხელ-ფეხი. როგორც მოგეხსენებათ თავის სხეულის გარეშე არაფერია, რა მაქვს მხედველობაში როცა ასეთ რამეს ვამბობ, პარტიის თავი ყოველთვის დედაქალაქშია, ტანი რეგიონებსა და რაიონებში ხოლო ხელ-ფეხი სოფლებში, არცერთ პარტიას, გამონაკლისი მხოლოდ ლეიბორისტებია, თბილისს გარდა რაიონებში ორგანიზაციებში არ აქვს. ან თუ სადმე აქა იქ აქვთ უსუსური და არაფრისშექმნილი.

მართალია, ლეიბორისტებს თითქმის ყველა რაიონში აქვთ პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ სუსტები, რადგან თვით პარტია პოლიტიკურად სუსტი ლეიბორისტები უფრო პროფესიონალებს ვგანან ვიდრე პარტიას, მათი დევიზირებაც მოძველებულია-უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება გვექონდა ასეთი, მაგრამ არ გამართლდა, ახლა უკან დაბრუნება არავის უნდა, ვისაც უნდა ის 10%-ზე მეტი არ არის, ამიტომ ფავს მუდმივად ამ პარტიას ამდენი ამომრჩეველი, თანაც ლეიბორისტებში კერძოაფიანისმცემლობა, ადრე ვმღეროდით: „ვაგაბობთ პარტიას, გვულისხმობთ ლენინს, ვაგაბობთ ლენინს და გვულისხმობთ პარტიას“ ზუსტად მიესადაგებება ეს მშრომელთა პარტიას.

დანარჩენს ასეთი ორგანიზაცია არ აქვს. თუ სადმე თითო-ორი პარტიულს მოიძიებთ სუყველა უსუსური პოლიტიკურად სუსტი და ჩაბინებული, მხოლოდ არჩევნების წინ გამოერკვევიან ძილბურანიდან მაშინ კი უკვე დაგვიანებულია რადგან ყველა ადგილი დაკავებული ხვდებათ.

როგორ უნდა ენდო იმ პარტიას, რომელსაც სრულყოფილად საკუთარი ორგანიზაცია ვერ შეუქმნია. რომელთა რიგები თითო-ორი პირიდან გარდა ნორმალურ ადამიანს ვერ იხილავს პარტიის უმთავრესი ამოცანა ხომ ყველა დონის არჩევნების მოგებაა, მითუმეტეს მაშინ, როცა თვით ითხოვ რეგარეგულარულ არჩევნებს. უკანასკნელ პერიოდში ორი ასეთი არსებობდა მთითხოვეს და ორივეში მწარედ დამარცხდნენ. ახლაც 5 თვით ადრე იცან, რომ არჩევნები იქნება და არავითარი ძვრა მაშინ როცა ხელისუფლებას გამალებული წინასწარჩვენო მარათონი აქვს, თავისთავად ცხადია ვინც მოიგებს ამ არჩევნებს.

რამდენიც არ უნდა იბრძოლო დედაქალაქში ვერანაირ ბრძოლას ვერ მოიგებ თუ რეგიონების სახით ზურგი არ გაქვს გამაგრებული, და ამასთან მსოფლიო ვერ დაინახავს საზოგადოების უკიდურეს უკმაყოფილებას თუ დედაქალაქთან ერთად რაიონებიც არ ბობოქრობს მასიური უკმაყოფილება იწყებს მასიურ ზეწოლას და მხოლოდ ასეთი ზეწოლით არის შესაძლებელი ხელისუფლების დათმობებზე წასვლა ან მისი გადადგომა. ეს კი საძნელო საქმეა, მითუმეტეს, რომ ხელისუფლება გულზე ხელდაკრეფილი არაა და კონკრეტული საქმეების კეთებითაც იკეთებს თავის პიარს.

ლერი ბიჭაძე

# როცა ექიმის სტერაია

მოსაცდელში ჩვეულებრივ რიგია... ვიკი ექიმთან პაციენტები დიდი რწმენითა და იმედით შედიან. იქიდან კი კმაყოფილი სახეებით გამოდიან და ერთმანეთს აზრს უზიარებენ-მაგის გამზრდელმა იხაროს, როგორი გულსმძირი და ყურადღებანი, ავადმყოფის ტკივილით ცხოვრობს, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები... მერე რა, რომ, ზოგჯერ ექიმის დასმული დიაგნოზი მთლად სახარბიელო არ არის, პაციენტებს სვერათ, რომ მისი რჩევებისა და სწორი მკურნალობის გათვალისწინებით ყველაფერი კარგად იქნება, ვიკი ექიმი არ შეცდება, მისი პროფესიონალიზმი სასურველ შედეგს გამოიღებს, დააფრება უკან დაიხვეს... სწორედ ეს რწმენაა ვიკი ექიმის ერთგული მეკავშირე დაავადებასთან ბრძოლაში, რომელიც წინააღმდეგობა უძილო ღამეებში, თავდადება, არჩეული პროფესიის დიდად სიყვარულმა, ძიებამ და ცოდნის მუდმივმა სრულყოფამ მოუტანა ექიმს ვიკი ექიმის რაიონში ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის ათობით ექიმი ემსახურება, მაგრამ მათგან ერთგულები თუ ახერხებენ საერთო სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურებას. გამორჩეულთა შორისაა შსს „ფერომედის“ ექიმი თერაპევტი ვიკი ექიმის რაიონში, რომელიც უზრუნველყოფს, ზრდილი, კეთილშობილი ექიმი, რომელიც საერთო კეთილგანწყობის იმსახურებს. ამიტომ იგი არამარტო პაციენტებს, არამედ კოლეგებსაც ძალიან უყვარს...



ხონის რაიონში დაბადებულმა და აღზრდილმა, გამორჩეულმა კურსდამთავრებულმა სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1986 წელს განაწილებით ზესტაფონის რაიონში ბოსლევის საექიმო ამბულატორიაში და პარალელურად სასწრაფო დახმარების ექიმად დაიწყო მუშაობა და იმთავითვე მიიქცია ყურადღება ყველა იმ თვისებათა გამო, რითაც ექიმი და საერთოდ ადამიანი ფასდება.

გია ექიმი 1994 წლიდან „ფერომედის“ თერაპევტი და კარდიოლოგია. ორივე დარგში სერტიფიცირებული ექიმი. ვიკი ექიმი საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენს რაიონში. მშენიერი მეუღლესთან, ზესტაფონელ იანზე ბარბაქაძესთან ერთად შესანიშნავ ქალ-ვაჟს ზრდის. ქეთიმ მამის სუციალობა აირჩია. იგი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია. სამომავლოდ პლასტიკურ ქირურგიაზე ოცნებობს.

# ყოველი ახალი წელი, ისტორიის ახალი ფურცელია

„საარქივო მასალა არ არის უძრავი და უსმარი მუშია, ხოლო არქივი მუშიის საფლავი და აკლამა, როგორც ბევრს ჰგონია, თანამედროვე არქივი დიდი ლაბორატორიაა, სადაც მძაფრი სამეცნიერო მუშაობა წარმოებს და ისტორიის ფურცლები იწერება“ - წერდა პროფესორი შალვა ჩხეტია.

არქივები, როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დიდმნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი ინახავენ ერის მემკვიდრეობას და მათზე დიდად არის დამოკიდებული კაცობრიობის ისტორიის გადარჩენა, და ისინი წლიდან წლამდე ახალი ფონდებით ივსება.

ცნობილია, რომ სოციალისტური სისტემის ყოფილ სახელმწიფოებში არქივოგრაფიული პუბლიკაციები მკაცრი ცენზურის ქვეშ იყო მოქცეული, ხელი-სუფლებს ერიდებოდა წარსულთან ანალოგიებს და არ სურდა ერის გენეტიკური მემკვიდრეობის მთლიანად ამოქმედება.

საქართველოს არქივისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდშიც ახერხებდნენ საქართველოს ისტორიის ტაბუ დიდებული წერილობითი და კინო-ფოტოლოკუმენტების საჯაროდ გამოცხადებას. 70-იანი წლების ზოგიერთ განხეთქს და ჟურნალში სატელევიზიო და რადიო გადაცემაში ზოგჯერ გამოაშუქებდა ხოლმე წარსულის სახე და ხმა.

ეროვნულ განმანათლებლებელ მოძრაობის გაძლიერებამ, სსრ კავშირის დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ ახალი ფურცელი გადაშალა ეროვნული არქივოგრაფიის ისტორიაში. დაიწყო საქართველოს სახელმწიფო არქივების განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი. დოკუმენტების საცემში გამაცოცხლებელმა სიამ დაბერა.

ეს დაწესებულება დიდად საჭირო და დასაფასებელია - ბრძანება აკადემიკოსი აკაკი შანიძე. არქივების მრავალმხრივი საქმიანობა დოკუმენტების ფართოდ გამოყენებისათვის მჭიდროდ უკავშირდება საისტორიო მემკვიდრეობის განვითარებას. ზესტაფონის არქივი სამკითხველო დარბაზის მეშვეობით დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მკვლევარებს.

ვიორგი კი მე-5 საჯარო სკოლის მე-9 კლასში სწავლობს.

ელვის სისწრაფით ჩაიჭროლეს წლებმა. ვიკი ექიმს თავის შობილი რაიონში ზამთრის ღამეში მოგონებები და შობილები დარჩა. დროს იმოწინის თუ არა დედამამის სანახაოდ მიემშურება, მათი სიყვარულით გულს ივჯერებს და ახალი ძალებით ივსება...

დასამალი არ არის რომ სამედიცინო რეფორმამ ერთგვარად გართულა პაციენტისა და ექიმის ურთიერთობა. ექიმი და წამალი სამწუხაროდ, ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი, მაგრამ ვიკი ექიმის თითქმის ყოველთვის ახერხებს იყოს ავადმყოფის ნამდვილი ჭირსუფალი. პირიქედ გაითავისოსო მისი ტკივილი და გაჭირვება. განსაკუთრებით შეჭირვებულთათვის მუდამ აქვს გადამახალი მედიკამენტებიც, სწორედ ამიტომაც მისი კანონიდან უკმაყოფილო და უიმედო არა ვინ გამოდის... ადამიანის ამქვეყნად მოვლინება ხომ ძირითადად იმ მადლითა და სიკეთით იწომება, რისი გაღებაც ყოველდღიურად გვიხდება. ეს ყველას როდი ხელეწიფება, ვიკი ექიმი კი იმ ბუნდოვან გამონაკლისთა შორისაა, რომლებიც ამ ადამიანურ ტვირთს ღირსეულად ატარებს...

გია ექიმის მოსაცდელში მყოფ ერთ-ერთ პაციენტს დავესესებო-ღმერთმა მართლაც გვიმრავლოს ასეთი ადამიანები. ეს ხომ ქვეყნის სიმდიდრეა, რომელსაც გაფრთხილება და დაფასება სჭირდება. წინასასახლ-წლო დღეებში ეს წერილი მკითხველმა ვიკი ექიმსადმი გამაღვანებულ პატივისცემად და მადლიერებად მიიღო ჩამოვალის. ფეხბედიერი და მომავალ წარმატებათა მომტანი ყოფილიყოს მისთვის 2010 წელი...

ლერი ბიჭაძე

დოკუმენტების გამოყენების დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოყენების მოწყობას, რომლებზეც წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი საბუთის გარკვეულ წარმოდგენას უქმნიან დამთავალირებლად რაიონის წარსულსა და დღევანდლობაზე. მის სიფრთხილზე, ისტორიულ ძეგლებზე, სპორტის მიღწევებზე, განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე. არქივში ყოველწლიურად ეწყობა რაიონის გამორჩეულ ადამიანთა პირადი არქივების გამოყენება. მიმდინარე წელს მოწყობა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის კალისტა ბარათაშვილის პირადი არქივის გამოყენება, რომელიც დიდი ინტერესით დაათვალიერა რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გამოყენებულ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა.

ზოგადად საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის პოპულარულია არქივში გავეთილების ჩატარება, რაც ემოციურად ტვირთავს მოზარდს და ხელს უწყობს ხალხის გამორჩეულ პიროვნებათა ნამოღვაწარისა თუ ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა უკეთ გააზრებას.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაწესებულება-ორგანიზაციათა თემატური შეკითხვისა და სოციალურ საკითხებზე მოქალაქეთა მიერ არქივში შემოტანილი განცხადებების დამუშავლებას. ეს დიდ დროსა და შრომას მოითხოვს არქივის მუშაკებისაგან, რომელსაც კეთილშობილი და მოკრძალებული წვლილი შეაქვს ადამიანთა უფლებების დაცვაში.

როგორც ვხედავთ, დაცული მრავალფეროვანი მასალა ეტრატზე დაწერილი უძველესი გურჯაბის, ხელნაწერი წიგნების თუ დოკუმენტების სახით ქვეყნის უმიდრესი მატანე, კულტურული საუნჯეა, რომლის გონივრული გამოყენება სწორედ დღეს იძინს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი ხელს უწყობს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. რაიონის მოქალაქის მენტალიტეტის ჩამოყალიბებას, წარსულისა და აწმყოს სწორ შეფასებას.

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ზესტაფონის არქივის დირექტორი მ/შ ი. ბიჭაძე, 02.11.09

# რვაჯაზრევი სახლის „არაჩრვაჯაზრევი“ აზრები

ქალაქის ისტორია

მამინ, როდესაც, ყვირილს გაღმა და გამოღმა მხარეს თანდათან იბადებოდა ზესტაფონი, მის ისტორიას ცივილიზაციის მათემატიკური სხივით შემოსულ პირველ ორთქმავალთან ერთად, ღვთისმსახურებისთვის აგებული ტაძრები და ის სახლები ქმნიდნენ, სადაც ცნობილი ზესტაფონელები ცხოვრობდნენ, რომლებმაც თავისი მოღვაწეობით შექმნეს წარსული და ღირსეული მომავალი. ახლანდელსავე საკინიგზო სადგურის მიღმა მამინდელ ზესტაფონში სულ 3 სახლი იდგა. აქედან ერთ-ერთი ყვირილის პირას, გედონ ჩუბინიძის სახლი იყო, სადაც დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განთავსებულია. ვიდრე სახლი მუზეუმის სტატუსს შეიძენდა მისმა კედლებმა საკმაოდ საინტერესო ისტორია შემოგვიწვინა. ამ სახლში იყო რაღაც იდუმალი, რომელიც შესვლისთანავე, გავრძობინებდა ამას. არცერთი ბუხრის ორნამენტი არ მეორდება, ოთახებისა და ვესტიბიულების ჭერი და კედლები მოვარაყებული ორნამენტებითა და მოხატულობებით ყოფილა დამშვენებული. ფერწერული ტილოები, დეკორატიული ფარდები და ავეჯი განსხვავებული, რაც იერს აძლევდა იქაურობას და ეს ყველაფერი ჩუბინიძეთა გვარს ეკუთვნოდა, რომლის ისტორიის მოთხრობა პოეტ მალხაზ მაჭავარიანს ვთხოვეთ.

## ბატონო მალხაზ, გვიამბეთ ამ სახლის ყოფილი მფლობელების შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისინი?

ეს სახლი, თეატრის გვერდით მოკრძალებულად დგას, მაგრამ, ერთ დროს, იგი ზესტაფონის ცენტრი, სიამაყე და პატივცემული საზოგადოების თავმჯდომარე იყო. მამინ ეს სახლი მინდობიანი ფერდობით ყვირილის პირზე ჩამოდიოდა. ჩუბინიძეთა სახლი საგანგებო მასალებით შენდებოდა, რადგანაც ოჯახის უფროსი, გედონი ქვანახშირის „მეპაიე“ მრეწველი იყო. შეძლებაც ჰქონდა და ქონებაც. სამშენებლო მასალები, მას იტალიიდან მოდიოდა. მუშები კი ტრანზიტორები. გედონი გონიერი კაცი იყო. კარგად ერეკოდა არა მარტო შვიი მოპოვების ტექნოლოგიაში, არამედ მის დამუშავებასა და გასაღებაში. ამიტომ სწორად უწევდა საზღვარგარეთ საქმიანი მოვალეობა. ბატონი გედონის მეუღლე ქალბატონი მართა გველესიანი გახლდათ, უშიველი-


ონი იყვნენ და ოჯახის მომავალი ობოლ ძმისშვილზე, ნიკოს ოჯახზე ააგეს. გედონის გამჭრიახობა იმაშიც გამოიხატა, რომ საკითხი ასე დააყენა: „ქონებას პატრონობა და მართვა შენახვა კი არ უნდა, მას ლამაზად და პეწინად მოხმარება ჭირდება“ ამიტომ, საჭირო შეიქმნა მისი ძმისშვილისთვის (ნიკოსთვის) ისეთი სარძლოს მოძებნა, რომელიც „კარგ ოჯახში ნაცხოვრები ქალი იქნებოდა და ლამაზი ნივთების ფასიც ეცოდინებოდა“.

მოკლედ, კულტურული უნდა ყოფილიყო. ასეთი მოძებნა: ქალბატონი კე-

კულტურაზე და დაბრუნების შემდეგ საქმე ჩააბარეს, თბილისი-შორაანის გზის უფროსად დაინიშნა. მას საკუთარი ვაგონი ჰქონდა, რომელიც თანამდებობით ეკუთვნოდა.

ოჯახი მუსიკალური იყო. კესარია დიდი სიამოვნებით ასრულებდა ვალსებს, რომანსებს...

აი, ასეთი ისტორია აქვს ამ სახლს, სადაც როიალი არასოდეს არ იყო მოწყობილი, იყო კეთილგანწყობა და კაცთმოყვარეობა, სადაც ყოველთვის ცხოვრობდა ვიღაც ნათესავი. ეს ოჯახის ტრადი-



სარია ზამბახიძე. პატარა, ლამაზი, გონიერი ქალი, რომელმაც თბილისში წლების განმავლობაში ძალიან შეძლებულ ოჯახში იცხოვრა, ისწავლა გიმნაზიაში.

ბატონი გედონის ხელდასმით სწორედ ასეთ ქალზე დააქორწინეს ნიკო. კესარიას დიასახლისობა, ტაქტი, კულტურა ცნობილი იყო. ახალ რძალს ბატონი გედონი დიდ პატივს სცემდა, როგორც მისი ოთხი ძმისშვილის მიმასა და ბაროს, თამარისა და ალისას დედას.

ცნობილია, რომ ჩუბინიძეების სახლში თორმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საფრანგეთიდან ჩამოსული ლიანა სოლომონოვა, ფრანგული ენის მასწავლებელი, ამიტომ ფრანგული ენა ბავშვებმაც კარგად იცოდნენ.

მიმა სააქციო საზოგადოებამ აქტიურად შრომობდა. ბარომ ისწავლა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფა-

ლიცია იყო.

## თქვენ ბრძანეთ, ჩუბინიძეთა სახლში ყოველთვის ვიღაც ცხოვრობდა, ხომ არ განისწავლეთ რომელიმე? ალბათ არც ის ავიღებთ მათი შემოსევით, როცა ბრძანეთ, მათი როიალი არასდროს იწყნარდა

—ღიას, ამ სახლში „ცხოვრობდა“ ლეგენდარული „მეკონცერტე“ როიალი (არა საკონცერტო). იმ ხანად მიღებული იყო ცნობილი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მოვალეობა დასავლეთ, ალბათ, აღმოსავლეთ საქართველოშიც. ბატონი ზამბახი ფალიაშვილი სწორად აწყობდა ტურნეს და აუცილებლად მართავდა კონცერტს ზესტაფონში.

რკინიგზის კლუბში იკრიბებოდა ზესტაფონის საზოგადოება და სცენაზე კომპოზიტორებთან შეხვედრას ელოდებოდა ჩუბინიძეების სახლიდან, წვალბით გად-

მოტანილი, კლუბში „ლაშქრბატონი“ რომ იყო. ცნობილი შემსრულებლებს სწორად უთქვამს ხოლმე „ეს უბრალო რომელი არ გეგონოთ, მასზე ფალიაშვილი უკარავდა“. და ქვეც ჩუბინიძეების საამაყო ისტორიის ნაწილია.

## ამბობენ, ჩუბინიძეების ოჯახს ეკლესიაც ჰქონდა.

ეკლესია ამ სახლთან ახლოს 1876 წელს აუშენებიათ, და ის წმიდა იონე ნათლისმცემლის სახელობის იყო. მის მიმდებარედ ჩუბინიძეთა მიწაზე მდებარეობდა ეკლესიის ზარი მთელ ზესტაფონს ამცნობდა ამა თუ იმ ამბავს. ეკლესია პატარა იყო და ის ვერ იტევდა მომრავლებულ მრევლს, ამიტომ რკინიგზის სადგურის მიდამოებში, ქალაქის ცენტრის ტერიტორიაზე აუშენებიათ ქვით-კირის დიდი საკათედრო ხელმძღვანელობით. ეკლესია წმ. დავითისა და კონსტანტინეს სახელობის იყო და ის საბოლოოდ 1898 წელს დაუსრულებიათ.

## ბატონო მალხაზ, როგორ ვიცით, საქართველოში განხორციელებული რეპრესიები მთელი სიმძაფრით იგრძნო ჩუბინიძეთა ოჯახში.

—ღიას, დევნის გამო 1930 წელს მიმა ჩუბინიძემ შეძლო საზღვარზე გადასვლა და მან საფრანგეთში ჩააღწია, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე. მიმას ემიგრაციის შემდეგ ჩუბინიძეების სახლში მიმას ცოლ-შვილი, ქალბატონი დელოკო და ქალიშვილი ციალა, ძმა ბორისი მიუღწევიათ და 6 შვილით ცხოვრობდა.

1924 წ. ჩეკისტები ცხენებით ოთახებში შეჭრილან და იატაკი ჩაუმტვრევიათ, საბაზანოში კი ცხენები შეუჭრებიათ. 1937 წელს მათ ეკლესიაც დაუნგრევიათ.

## ბატონო მალხაზ, როგორ ვიცით, თქვენ ჩუბინიძეთა ერთ-ერთ შთამომავალს, სახალხო მხატვარს ანა (ნანი) შალიკაშვილს იცნობდით?

—მქონდა ბედნიერება იმისა, რომ ნანი იყო შალიკაშვილის პირადად ვიცნობდი. ის იყო ცნობილი მხატვარი, გრაფიკოსი, ფერმწერი. ნანი იყო იმდროინდელ საქართველოში ცნობილი და საყვარელი

მხატვარი. ანა შალიკაშვილი დაიბადა 1919 წელს ქ. ქუთაისში, მამის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ. მამა ცნობილი ქართველი მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი ჩვენს განსაკუთრებულ პატივსცემს იმსახურებს იმის გამოც, რომ თავისი სცენური თამაშით პირველმა შთაგონა უმანგი ჩხეიძეს სიყვარული თეატრისადმი.

1923 წელს შალიკაშვილების და ზესტაფონის მკვიდრის ბორის (ბარო) ჩუბინიძეების ოჯახში უფროსთა ქორწინებამ გააერთიანა. საშუალო განათლება ანა შალიკაშვილმა ზესტაფონში მიიღო. №1 ნორმალური სასწავლებლისა და რკინიგზის სკოლის დამთავრების შემდეგ ის ზესტაფონის პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობდა. მისი სურვილი იყო, რომ თავისი ნახატები ჩუბინიძისებრთა დიდ დარბაზში გამოეფინა. მთელი თავისი ნახატები ზესტაფონისთვის უნდოდა. „ყველაფერი ზესტაფონისთვის მინდა“ სწორად უთქვამს ხოლმე. თუმცა ეს ოცნება მას აუსრულებელი დარჩა.

## ბატონო მალხაზ, ჩუბინიძეთა საგარეო სახლში მუზეუმმა როდის დაიწყო მუშაობა?

—1987 წელს ზესტაფონის მკვიდრის, გეორგიანის პედაგოგის ვიქტორიას ძალიან მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა. თავად ეს ფაქტი გამოარჩევს ამ სახლს და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც ყველას შეუძლია მისი ნახვა-დათვალიერება. ეს კი სახლსაც უნარია და მის შთამომავლობასაც.

ამ სახლს შეუძლია მისი მხარის შესწავლის მსურველს, შეასწავლოს რომ ჩუბინიძეების გვარს ტყუილად არ უცხოვრია. იგი ახლა მუზეუმში მისი მხარის ისტორიის, სიყვარულის, მტრობისა თუ ოჯახური ტრადიციების მუზეუმი.

და ჩვენი საუბრის დასასრულს ბატონმა მალხაზ მაჭავარიანმა ვთხოვა, ტექსტში აუცილებლად აგვეღიწინა, ჩუბინიძეთა სახლის შესახებ მუზეუმის დეტალური და საინტერესო მასალა ჩუბინიძეების მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთ-ერთმა შვილიშვილმა თამარმა მაკარიძემ მიაწვდინა, რომელიც წვლილი მიუზღუდათ გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ თამარ არაბიძეს მიუძღვის.

ლელა გორგოძე

# ჩვენი სკოლა — ახალი იმედი

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე სკოლა შეუცვლელ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად რჩება. სწორი აღზრდა, პირველადი მონაცემების განვითარება და დახვეწა მომზადში, სამომავლო ორიენტაციის განსაზღვრა და პიროვნული ღირსების განვითარება მასშია მთავარ პრინციპებზე კეთდება აქცენტი სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაშიც, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე წარმატებით აგრძელებს თავისი უწყვეტილი მოვალეობის შესრულებას. ამ საქმეს ემსახურებიან გამოცდილი პროფესიონალი პედაგოგები, რომელთა შორის ყველაზე ხანდაზმული, მათემატიკის მასწავლებელი, ნუკა ჩუბინიძე რამდენიმე თვის წინ ღირსების ორდენის მფლობელი გახდა.

სოფელში დიდი საბაზოთი საუბრობენ ცნობილ მეცნიერ-მუშაკებზე, რომლებიც დილიკაურის სკოლის ავღლილები არიან. პროფესორი გულდერ იბრაჰიმი, ქიმიკოსები ანური ლეკვა,

ვიგალი ჟორჯოლაძე, ალექსანდრე კახიანიშვილი, ვის სახელსაც დილიკაურის სკოლა დიდი პატივით აგარებს, იყვნენ სხვადასხვა წლების თაობათა წარმომადგენლები, რომელთა სახელებიც მოწიწებით არის ჩაწერილი სკოლის მრავალწლიან ისტორიაში.

ეს გრადიცია დღესაც გრძელდება. ბოლო გამოშვების 8 კურსდამთავრებული ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. მათ შორის 2 სახელმწიფო გრანტის მფლობელია. ევრესტის მედალოსანმა მიაა ღვთიაძემ 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების უფლება მოიპოვა, მათე ხვედელიძე კი, რომელმაც გასულ წელს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“ მოიგო, 50%-იანი გრანტის მფლობელი გახდა. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ დღეს დირექციამ ორივე წარჩინებული კურსდამთავრებული სკოლაში ერთი დღით „დააბრუნა“ და მათ ფასიანი საჩუქრები გადასცა.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა სახის კონკურსებსა და საგნობრივ ოლიმპიადებში მოსწავლეთა ჩაბმას. სისტემატური მუშაობა მიდის საკონფერენციო თემების მზადების კუთხითაც. საუკეთესო თემის ავტორი ქვეყნის მასშტაბით პირველობისთვის იბრძობებს. როგორც დირექციაში ამბობენ, ყველაფერი კეთდება გასული წლების მნიშვნელოვანი წარმატებების განმეორებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტორიის კონკურსში მათე ხვედელიძის საუკეთესო შედეგი, ესთეტიკური აღზრდის ცენტრის ფსიქოლოგი, საიდარლე თამუნა მოღვაძე ლაურეატის წოდებით დაბრუნდა. სულ ახლახან რელიგიის სასკოლო კონკურსში გამარჯვებული გუნდი რაიონული შეჯიბრისათვის ემზადება...

გასულ წელს ნათობის მილსადენის კომანია „B. P.“-სთან ერთად სკოლაში განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც სპორტდარბაზის სრული რეაბილიტაცია მოხდა. სპორტული აღზრდის კუთხით სკოლაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. „მხიარული სგარ-

გები“ და სხვადასხვა სახის ფიზკულტურულ-სპორტული ასპარეზობები სკოლის მაგიანეშია ჩაწერილი. მათ რიცხვს სასწავლო წლის II ნახევარში სასკოლო სპარტაკიადე მიემატება, რომლის დებულებაც უკვე შემუშავებულია. სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებულია გარდაამავალი პრიზი, რომელიც წარმატებული კურსდამთავრებულის მახარე პერანძის ხსოვნის უკვდავყოფის იმშანი გახდება.

სკოლის დირექტორის ლალი ანაკიძის ინიციატივით „პედაგოგთა პროფესიული განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი სიახლე იგეგმება. სპეციალური დებულების მიხედვით მიმდინარეობს მასწავლებელთა სასკოლო შეფასება მოსწავლეთა შედეგების და მილიანად სასკოლო პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით, გთვალისწინებული იქნება მათი დისციპლინა და პროფესიონალიზმი. ამ საკითხზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის განახლებაც მოხდება ყოველწლიურად, რათა ამ შეფასებაში ყველა პედაგოგი იქნას ჩართული. კონკურსის პირველი ექვდეგები სასწავლო წლის ბოლოს შეჯამდება. მასწავლებლებს, რომელ-


თაც სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებით უმაღლესი შეფასება ექნებათ, უფროსი მასწავლებლის წოდება მიენიჭებათ და განსხვავებული ხელფასი დაენიშნებათ. არადაამკაცოფილადი შედეგის შემთხვევაში კი გამოიძენება გზები პედაგოგის მუშაობაში სუსტი მხარეების გამოსასწორებლად, მათვე გაეწევათ პროფესიონალური დახმარება სასკოლო გრენინგების მეშვეობით“.

განათლების სამინისტროს დახმარებით სკოლის ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდი მნიშვნელოვანად შეივსო. სამეურვეო საბჭოსა და დირექციის გადაწყვეტილებით ის გაცილებით უფრო დიდ და ნათელ ოთახში განთავსდა, სადაც ყველა პირობა შექმნილია მოსწავლეთა ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის. სკოლა მე-2 წელი ინტენსივ-ქსელშია ჩართული.

სკოლაში I ტრინგის შედეგები უკვე შეჯამებულია შობა-ახალწლის არდადეგებამდე ძველ წელს საშემო გაცილებას მოუწყობენ და ახალს იმედით შეხვდებიან.

ვენიკო ნაზიძე

სიბერის არითმია



საასალწლოდ ჩვენს მთავარ ბრძანებებს მაცნად გუბამ ლმთათბის 55 წელი უსტაღოღმთ. ამ ცდფა ხნის წინათ მან ლოქსთა ჯბრმულის „სიბერის აბითმია“-ს ბამდღინბი ლოქის გამბაღყრწა დღეს ის სიამბუნბით დავჯათანსმდა ეს საასალწლო ნბმბიღც დამბუნბინბთა თავისი მბმბღბრღბის ნბმბუნბით.

ჯულბდაჯთ მაცნად გუბამს 55 წლის მხსბრ- ლმბას დამბრღვ ასალ წლოს. მბავალს დას- წბრბმღრღ.

ამბაპი ჩპენი დამორბებისა

წასულხარ ისე უჩუმრად ჩემგან, ვერ მოვასწარი მბტქვა სიმარღე, მიყვარდი ისე ჩემო მშენებავ , უბერფასესო, როგორც სიცოცხლე.

წასულხარ ისე გამშორებინარ, ვერც კი გავიგე ბედის სიავე, სიცვივის სუსხმა სიდან დაბბერა, ანდა, რად დასბმე ერთა სიამე.

გულო, შიგ გულო, სიტკბო და ვენბავ, ვითარც ძვირფასი, როგორც სიცოცხლე, ჩამქრალა ჩვენი ცეცხლის დადარი, როგორც სანთელი კანდლის მინარბე.

გემბე, გემბახი, იქნებ შორეთში, მოგწოდეს ხმა ჩემი შერიგებისა, ვინ იცის იქნებ სხვებმა მიამბონ, ამბავი ჩვენი დამორბებისა.

ამბორის სანაცვლოდ

აფრენილი ხოხობი ხარ ჩემი გულის, ია-ვარდად მოფენილი სილამაზე, მხურვალეობით დადაგული სიყვარული, სულში ეშხით ჩადვენთილი სინარნარე.

შესამკობად სიტყვა მგონებს დავესესხე, ვერ შეგბდე ჩემბბური აბდა-უბდა, არად მიცან საქციელი დამიწუნე, ჩემად ბქმული შენი სჯობსო-გამეხუმრე?

არა, ნათლად შევიგბრბენი შენი სახე ბრილიანტის ათინადათ მოვლენილი, სამახსოვროდ მე ამბორი დამბტოვე, შენ წარიღე გული ჩემი იარქმინილი.

დაგიღვას თვალნი

პატარა ქალო შენ სოფლის თვალო ტანწერწეტა და ბროლ ყელიანიო, ჩამოგბქროლებს ნიავი მშვიდი, აგიშრიალებს კაბის ფიალოს.

თეთრი წვივები წაგრბაცებს მხერას, მკერდიდან ზვირთი გადმომდინარი, ნაზი ღიმილი, თემთი ნარნარი, სახიდან ხიბლი შემომცინარი.

გოგო რა გოგო ტირიფის წნელი, ქურციკი ფრთხილი, მხერა სათუთი, მწყურვალს ჩავიფანს ისე წყაროზე, წვეთს არ შეგასმევეს, დაგიღვეს თვალნი.

წავალ ხელგაშლით და დავბოვებ მშენიერებას

ფიქრმა დამლალა და მუღმივად რალაცას ვემბე, ხშირად მაწუნებს კითხვა ერთი ხმა შინაგანი, შენი არსობით. ყოველღიურ ჭაბან - წყვეტაში, რას ტოვებ ქვეყნად, შთამომავალ გადანაყარი.

მოვხედავ წარსულს კიდევ ერთხელ გავივლი ბილიკს, რომლითაც ბედმა ღვთისა ნებით გამომბატარა, გაღვიყრი დარღებს, თავმომწონედ გავჭკვრეტ საგანბურს, წმინდა სამების ნებით რომ მაქვს მე ნაბობვარი.

მოსული ქვეყნად მუშტმეკრული პატარა ჩვილი, სიცოცხლე ბოლოს ხელგაშლილი დასასრულია, ყოველს წაიღებს წუთისოფლის ამბობება, დაბტოვებს მხოლოდ მოგონებას გარდასულისა.

იმ ასალ ვწლსაც...

თეთრი სუდართი დაფარულ ქალაქს ისევ ათოვდა, თვითონ არ ვიცი რამ გამახსენა მე შენი თავი, ქუჩაში გასულს მოგონება მომსდევდა ლანდად, და სიცვივში იმ ახალწლის ჩურჩულს უსმენდი.

შორს სიმაღლეში ფეერვერკი ვერცხლად იღვრება, წამიერ ნათელს სიხალისე მოაქვს ულევი, ფიფქთა ფარფატში სუსხი სიოს შემოფეთებას, როგორც შენს ალერს, მოფერებას, ვესათუთები.

ახალწლის ღამეს მაშინაც მძლავრად ბერავდა ქარი, თოვდა და თოვდა უსასრულოდ ცვიოდა ფიფქი, მიუყვებოდი ნაცნობ ქუჩას ნელი ნაბიჯით, და სახსოვარად ნატერფალი რჩებოდა ირგვლივ.

სადღაც ყინულის სისასტიკე აზრობდა ვენებას, აგიზგიზებულ ბუნართანაც ხომ ბეგრჯერ ცივა, ჩვენ კი ვიდექით ფიფქთა ცვერა ნაპერწკლად ენთო, სუსხში, ნამქერში, ურთიერთლტოლვის გვაბობდა ცეცხლი.

სოფლის სანახები

მასხენდება ჩემი სოფლის სანახები, ორლობეში ასკინკილა სიარული, ჯალაბობა მოგონება მტკივნეული, ფეხის გულში შესობილი ეკალივით.

ყრიაპული, საღამოთი ტაშ-ფანდური, სიმწარეში გარეული სიტკბო ვითარც, წასულ დროით, წასულ სახელთ სიმრავლეში, ბავშვურ სევდით დიდობაში გადმოსული.

მასხენდება ჩემი სოფლის მინდორ ველზე, მოთამაშე თვალბრღვილა ქალ-ვაჟები, მონატრება, მოგონება მტკერდაყრილი, ჰორიზონტზე ჩამავალი მხათობივით.

თონის მჭადი, კილობანში შენახული, ყურბოტეხილ დერგის ყველის სურნელება, მინდვრის ფხალი ბებსო ვობზე მოკეპილი, კეთილი და მადლით სავსე მისი მხერა.

ღმერთო ჩემო ერთსა შეგბთხოვ სამომავლოდ, ნუ მოგვიშლი მამლის ყვილს სისხამ დილას, სავსე ბედელს, წისქვილის ქვის რბმულ დილისს, გლეხის მარჯვენს, ჩვილი ბავშვის ატირებას.

მინდა

მინდა ისეთი საბქმელი გითხრა ჯერ რომ არ უთქვამს არვის შენი ხიბლის და შენი სიცოცხლის, განსაკუთრებულ შარმის.

მინდა დაგხატო ღვთისმშობელივით, გრმბულად ქცეულ ყალბით, გიმღერდე ისე როგორც ბულებული, საბრფოდ ცნობილი ვარდის.

მინდა რომ გპოვო როგორაც განბი, როგორც სიტურფე მწველი ჩავიკრა ჩემი გულის უბეში, და იქ დაგიღვა ტახტი.

მოლოდინი

რას ვემბე ნეტავ უნახავი რა დამრჩენია, ცის კილობანი? ვანთიადი წითლად მორთული, მშვენიერება? სიცოცხლეა თვითონ შედეკრი, გამჩენისაგან საუკუნოდ გადმობეული.

სრულყოფილება? რა სასაცილო განჩენია, ადამის მოღვმას მაცხოვრის სისხლმაც კი ვერ უშველა

თუბთუბებს ბოღმა, შური, მტრობა, გაუტანლობა, ერთურთ ღალატი, ქილიკი და დაუნდობლობა.

სიკეთის ღაქას, სიძულვილის ოკეანეში ღამაზ ოაზისს სიყვარულისას ცხელ უღაბროში, ებრძვის კაენი მარადისობის ღახვარცემული და ელის ბრბენი მეროდ მოსვლას თავაწეული.

\*\*\*

რა მეთქმის ნეტავ წუთისოფელზე ისეთი არის ზუსტად, ზოგჯერ სიტკბოთი ზოგჯერ სიმწარით როგორიც ღმერთმა მოგვცა.

რა მეთქმის ნეტავ წუთისოფელზე კბეზე ამსვლელთ ტევა, ჩამომსვლელია ზუსტად იმდენი რამდენიც რიგში ღვება.

ნეტავ რა მეთქმის წუთისოფელზე ავსა უწოდე ავი, სიკეთის ბობაღს შემოვახვიე მისხალ მოგიზლე კარგიც.

კიდევ რა მეთქმის წუთისოფელზე გაგბტიალებს დარდი, ბედის სიმუხთლე თუ დაგებდა წელში გაგბტეხავს დაგღლის.

რა მეთქმის მაინც წუთისოფელზე ისე გაივლი ზუსტად, როგორც ვიბობებს გამჩენი ჩვენი დიდებით ანდა მუხთლად.

ღა აი გავაფხიურე...

(ზ. კვეტენაბის ხსოვნას)

რა უცნაური რამაა ძმაო წუთისოფელი, პო, გუშინ იყო ჯერ ერთმანეთს ისევ ვსტუმრობდით, ვითარცა ბავშვი დედა ენის შემაცნობელი, გაღიმებული ახალ ღექსებს რომ მიკითხავდი.

ახლაც წინ მიდევს შენი ღექსის ერთი ტაეპი, ექსპრონტად იმ დღეს შეხვედრისას რომ ჩამომარცვლე, მახსოვს ღიმილი ახალგაზრდულ გრმნობათა გამა კაბის შრიალი დღევანდელი წარსულის რომ წაპყვა.

დავჭყურებ ეხლა შენ ხელნაწერს სახელდასტურით, რომლითაც ჩვენი ბავშვობის ფიქრი იმ დღეს დახატე, და სახსოვარი შენგან მოდენილი ასე ძვირფასი დღეს შენი ხსოვნის ღამაზ დასტურად გავაშბიურე.

”ის გოგო ვიცი ქალია უკვე უკვე ქალია დიდი ხანია, გულო ბებერო, ცეტი ბიჭივით, რა მოგდის?- ბტუნავ და გიხარია!”

როცა ყოველღე მოკვდები

სიკვდილი რაა? კანონზომიერ და ჭეშმარიტი, თუ იგი თვითონ შენ განგებამ გამოგიგ ზავნა, აღსრულებაა ნებისა და შინაგან შიშის შეუცნობელში გადასული შეცნობადობის.

მაგრამ ჭეშმარიტ გარდაცვალებას ნათელი ახლავს მოგონებებით, ცრემლითა და სულის ვაებით, სულ სხვაა მაშინ როცა კაცი ქვენად სულდგმული, მოკვდება თვისსა ანდა სხვათა უკაცურობით.

სიცოცხლე მაშინ გაუსაძლისი დღეა შავნედილი, ხშირ მონატრებად გადაგგეცევა აწ გარდასული, მოუწმენდელი სირცხვილი და თავლაფის დასხმა, ყოველღიური სამარეა და დასასრული.

სათსოვარი

ყოველ დღით როცა პირსჯვარს გადაისახავ, წყალობას შესთხოვ ციურ მამას არსობისათვის, გვინია თავი “განბანილი”, “განახლებული”, ვითარც ბატკანი მწყემსის მხრებზე წამოწოლილი.

სიბერის არითმია

ხალხში გამოსულს ღვთის წყალობა გვინია თუკი, მოყვას ჩაწიხლავ, მის მისალებს შენად მიითვლი, ამპარტავნობით გადაბიჯებ შენს ნათქვამ სიტყვას, მწუნხრის უამს ზარებს წაუყრებ, ტამარს ჩაუვლი.

ღამე გაქვს შფოთში გაღეული ათასგვარ უინით, თავდავიწყების წრეგადასულ ფიქრთა ფერებად, და ალიონზე სასთუმალზე ქანცგაწყვეტილი, შენდობას ითხოვ, მფარველობას მაცხოვარისას.

ითვლი შეწეულს უპოვართა გახეულ ჯიბეთ, ტამრის კანდელზე საამყოლ დანთილ კელაბტართ, სული გაშფოთებს, ხორცი ხარობს და ბეწვის ხიდზე, დაგრჩება შენ ის რასაც განგება დაგისაკუთრებს.

\*\*\*

შორს ჰორიზონტზე მზე ჩამავალი მიითვლის წუთებს, ბინდი ჩადგება ხეობაში ცისფერ ღანდებად, მწუნხრი წაიღებს კაცის ტკივილს, ამოკენესებას, და გატრუნული სივრცე თითქოს ისევ ობდებდა.

მზე ჩავიდაო გადასახებებს გლეხკაცი ჯალაბს, ნებად მიითვლის ღვთისგან ნაბობებ იმ დღის არსობას, ჩამიხლებება კერის ბირთან, ისე ვით უწინ, და კეციიდან აღებულ ხმიადს დაეშურვება.

მერე დროც მოდის სასთუმალზე ნაზი გრმნობების, აზვირთებული თავდავიწყება ცეცხლად ინთება, ზღაპარ სიზმარას მსგავსი ჩვენი ეს სინამდვილე ცის კილობანზე ახალ ვარსკვლავად ამობრწყინდება.

შთაბაქილება

აღრიან წვიმიან დღით ვნახე ფილიპი 2012

რა უცნაურად თენდება ეს დღე, სინათლის სხივი ზარმაცად მოდის, ზანტად მოგოავს ცაზე დრუბელი, თითქოს თქეშა მეროდ მოსვლის.

განგებამ ჩვენმა ყოველ სიცოცხლეს, მისცა საწყისი და დასასრული, ასევე ბებერ დედამიწასაც, რამ გამაკვირვოს, სული ამოსდის.

ყველაზე ახალი სიტყვა...

იქნება მუზა გვერდს გივლის მიტომ რომ ჩემში ზიხარ, შენით ვსულდგმულე, შენით ვხარობ, შენითა ვბტირი, შენი სისხლი მაქვს, შენი ხორცი, სულის ნაწილი, უთქმელი რა ვთქვა დედა,- სახე კლდეგამოსილი.

ვერც სიზმრად გხედავ, დაღარულ ნაკვთა სიმშვენიერთი, არ გსურს შეეშფოთდე? ჩემი ძილი თუნდ შენ დამიფრთხო, გულის ხსოვნა ხარ, მონატრება მფარველი ჩემი, შენი ხატებით ღედაო ჩემი, ცამდე ასული.

ზამთარს გაბმსავს იმედი

ყვითელ ფერებად მორთულ გარემოს ეცვალა ნირი, გამარცვულ ტამარს დაემსგავსა მთელი სამყარო, სიცოცხლე მიდის, ისე ჩუმად მიიპარება, თითქოს გაურბის, ერიდება დროთა დინების.

ცივი სითეთრე ისაკუთრებს ფერთა ფესტივალს, გაისულდება გრძელ ღამეში ფიქრი მომავლის, მოსასვენებელ საბანს დაიფენს ქვეყანა ჩემი, რომ ჰპოვოს ძალა განახლების, კვლავ დაბადების.

ზეცას გახედავ...

ზეცას გახედავ, მოჩითულ ზეცას მარგალიტებად, მიუწვდომელი ხდება შენთვის თითქოს ნაცნობი, ცის კილობანის მოვერცხლილ ციმციმს ისე შეიგრმნობ, თითქოს მშობელი გიხუტებდეს თავის უბეში.

მარადისობის კითხვათა მუღმივ ორომბრიალში, ემბე სამკვიდროს, ვარსკვლავებში და სიდაიდეს, ბელურას გავზარ ათრთილებულს, როცა მშენიერს, შენ ბედისწერის ციურსს ძალუმ დაპკრავს ნათელი.

### ბგვარაბედის ღმერთი

მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში შემავალი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ისტორიულად სასწაულომოქმედ ტაძრად მოხსენიებულია. აქ, წმინდა მონამედედა-შვილ კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღეს, 28 ივლისს—კვირიკობას, ჯერ კიდევ კომუნისტების ათეისტური მმართველობის დროს აღველინებოდა საღმრთო ლიტურგია!.. და ისიც სასწაულია, რომ ხსენებული ეკლესია კვირიკობას იმდენ ხალხს იზიდავს, ტაძარში თუ ტაძრის გარეთ ტევა არ არის...

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის მასალა ამ ეკლესიის შესახებ:

## წვეის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 17-18 საუკუნეების დიდი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი და გეოგრაფი, ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი) წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ წერს, რომ „ძირულას ჩრდილო და შორაპნის აღმოსავლეთ არს წვეის ეკლესია წმიდისა გიორგისა, სასწაულომოქმედი“. წვეის ან უფრო ზუსტად ზედა წვეის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს მდინარე ძირულას ხეობაში 580 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ქ. ზესტაფონიდან აღმოსავლეთით მე-16 კილომეტრზე, დიდ ქართულ ენციკლოპედიაში ის XI საუკუნით თარიღდება...

ისტორიულად წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იმერეთის სამეფოში... და მის მფლობელობას იმერელ თავადაზნაურთა რამდენიმე საგვარეულო იხეობდა... მათ შორის, უმთავრესად: აბაშიძეები და მაჭავარიანები. დოკუმენტურად დამოწმებულია, რომ წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია საკუთრებით მაჭავარიანების იყო და „კვირიკობას, პირველ რომ მეფეს ლოცავდნენ, მას მერმე, დათუა მაჭავარიანს და მის შთამომავლობას“, ასევე მჭიდროდა დაკავშირებული ამავე ეკლესიის ისტორიასთან გაჩენილადებებისა და ჯაჭვადებების გვარები. არსებობს ორი ხალხური გადმოცემა—ერთი, რომ ვინმე გაჩენილ ღიაკვანს, გვარად ჯაჭვადეს, რომელიც საქართველოს წმინდა მეფის—დავით აღმაშენებლის მიერ იმერეთში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად ჩამოყ-



ვანილი ხელოსანთაგანი ყოფილა, იმ ადგილისათვის, სადაც სამშენებლო ქვას ეწოდნენ... „წვეა“ უწოდებია... ხელოსნები ამავე ადგილას დასახლებულან, სოფელი დაუარსებიათ და ხსენებული დიაკვნისთვის, ვითარცა სასულიერო პირისთვის, დაუვალებათ ახლადდარსებული სოფლის ეკლესიის მშენებლობა, რომელსაც ის კიდევ შესწირვია... ხოლო მეორე გადმოცემის მიხედვით: წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აგება წმინდა თამარ მეფის სახელს უკავშირდება... და ზემოთ ხსენებული ე.წ. გაჩენილი დიაკვანი, გვარად ჯაჭვადე, თამარ მეფის მიერ ამ ეკლესიისთვის შეწირულ ყმად მიიჩნევა და ასევე: გაჩენილადებების გვარის ეთნარქად ანუ მამამთავრად... ცნობილია, რომ ეს გვარი მე-19 საუკუნის II ნახევრიდან თითქმის მთლიანად სოფელ წვეაში სახლობდა... და წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურნი უმეტესად ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ.

წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ამაჟამად სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, მასში აღმოჩენილია XVII-XVIII საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტები, რომელთა რესტავირება სულ ახლახან განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით... ხოლო თავად ეკლესიის საფუძვლიანი რესტავირება და რეკონსტრუირება 1863 წელს ჩატარებულა, შემდგომ კი უკვე გასული საუკუნეები, რომელთა რესტავირება სულ ახლახან განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით...

ნის 50-იან წლებში, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არქიტექტორ-რესტავრატორთა ერთი ჯგუფი ეკლესიას XI საუკუნით ათარიღებს, ზოგიერთი მკვლევარი კი მას XIV საუკუნის ძეგლად მიიჩნევს...

ეკლესიის აბსიდის მარცხენა ნახევარ სვეტზე, ქვიშაქვის კვარდზე ამოკვეთილია ოსტატურად შესრულებული, ყველა ნიშნის მიხედვით გვიანი შუასაუკუნეების ასომთავრული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „გვირია ზიბზიბაძემ შეწირე კრამიტის ფასი ოცი მინალთუნი, ღმერთო აცხონე“ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე კი ასევე ოსტატურადაა ამოკვეთილ-შესრულებული იმავე გვიანი შუასაუკუნეების ქართული ჩუქურთმა—ღვთისმთავრებული ორნამენტი. ზემოთ აღნიშნული წარწერა ქართული ეპიგრაფიკის კიდევ ერთ საინტერესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ხსენებული ორნამენტი—ქართული ჩუქურთმის ერთ-ერთ შედეგად...

1997 წლის 23 ნოემბერს (გიორგობას), იმდროინდელმა მარგველმა მიტროპოლიტმა, აწ განსვენებულმა მეუფე კონსტანტინემ (მელიქიძე), წვეის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში საღმრთო (საზეიმო) ლიტურგია აღავლინა... და ტაძარიც აკურთხა... ხოლო 2003 წლიდან, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ამაჟამინდელი მმართველის, მიტროპოლიტ ვახტანგის (ახვლედიანი) ლოცვა-კურთხევით, ხსენებული ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნულია დეკანოზი გიორგი (რევიშვილი), და წირვა-ლოცვა თვის ყოველ მესამე კვირას აღესრულება... ასე რომ, წვეის წმინდა გიორგის სახელობის სასწაულომოქმედი ეკლესიის წირვა-ლოცვის მაღლი შესწავლავს სრულიად საქართველოს და ღმერთმა მშვიდობა-სიტკობებით აკურთხოს გვირგვინი დამდეგ ახალი წლისა!..

მოამზადა მაღსაზ მაჭავარიანმა

## უცნისეცელი მოპოვებნი

2009 წელმა როგორც წესი სიხარულიც ბევრი მოგვიტანა და გულისწყვეტაც ბუნება ცვალებადია და მის კანონიერებას ემორჩილება ნუთისოფელში ყოველი. თაობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია. მიდიან ადამიანები ამ ქვეყნიდან და თავიანთ კვალს ტოვებენ ჩვენს მესხიერებაში, ისინი ცოტა ხნის წინ რაიონის კოლორიტს წარმოადგენდნენ.

ახალი წლის წინა დღეებში გვსურს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი:

მიხეილ სარალიძე-კაცი ცოცხალი ენციკლოპედია, მშვიდი და კლდევამოსილი ეს კაციური კაცი არასოდეს დაგმადლიდა რჩევასა და დარიგებას, სამართლიანობა და პრინციპულობა იყო მისი თანამგზავრი. მორიდებული, სიცოცხლის ბოლო პერიოდში რედაქციას ხშირად სტუმრობდა ხოლმე, თავისი სიტყვაკაზმულობით რითმად ქცეული რამდენიმე ლექსი დაუტოვა “ზესტაფონის მოამბის” მკითხველებს საჩუქრად და სამახსოვროდ.

ანდრო ლომთაძე-განათლების მუშაკთა ქომაგი კარგი პედაგოგი, და შესანიშნავი პიროვნება. მისი მწიფის იუბილე თავის დროზე რაიონის საზოგადოებრიობამ მართლაც დიდი სიყვარულით აღნიშნა. ეს იყო მის მიმართ მისი აღზრდილების პატივისცემის გამოვლენა. სამამულო ომის აქტიური მონაწილე, წლების მანძილზე ომის ვეტერანთა სექციას ედგა სათავეში, თუმცა ქალაქის პირველ სკოლაში გამოვლინდა სრულად მისი კარგი ორგანიზა-

ტორული ნიჭი ამიტომაც მისი სახელი დიდხანს შემორჩება განათლების რაიონულ ისტორიას, ხოლო მისი კალმის უუნაღისტური ნარკვევები არამარტო ჩვენს, არამედ საქართველოს წამყვანი გაზეთების მატარებელს.

ბაბო კუპატაძე-პიროვნება კლდევამოსილი, რომელმაც ღირსეულად ატარა ქართველი ქალის მანდილი, ათეული წლები ის ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში იდგა და ეს იყო სამაგალითო ეტალონი იმისა თუ როგორ უნდა განვლო ღირსეულად ცხოვრება. თაობებმა გამოიარეს ქალბატონი ბაბოს ფრთების ქვეშ, იგი თითულ მოსწავლეს ეკუთვნოდა და თითოეული მისი ზრუნვის საგანი გახლდათ, იშვიათია ასეთი შემთხვევა.

ათეული წლები იგი სკოლას ხემძღვანელობდა და მისი სული დარწმუნებით შეიძლება იქვას დღესაც ალბათ სკოლას ეაღერებოდა.

ამ საახალწლო ნომერში ჩვენ სპეციალურად გავიხსენეთ სამი ისეთი პედაგოგი რომელთაც კვალი დაატყვევს ჩვენს საზოგადოებას, გავიხსენეთ იმ მიზეზითაც რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვათ იმას თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელი დიდგანსა და მისი პედაგოგის, როგორც ქვეყნის საძირკვლის მშენებელს, მის ავტორიტეტსა და პროფესიონალიზმს.

ნათელი დასდგომოდეს ყველას ვინც ახალი წლის შემობრძანებას ვერ მოეხსნო, მაგრამ ღირსეულად მოიხადა თავისი ადამიანური ვალი.

## კანსხადკმა

„ტაოპრივატბანკში“ პრობლემური კრედიტების რესტრუქტურისა ციის აქცია დაიწყო

ტაოპრივატბანკი თავის მსესხებლებს პრობლემურ კრედიტებთან დაკავშირებით შეღავათებს სთავაზობს—ეს არის ფიზიკური პირების სესხების რესტრუქტურისა ციის სქემა, რომელიც გულისხმობს არსებულ კრედიტზე ძირითადი ვალისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციების ჩამონერას. ხოლო ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, დარჩენილი ვალის რესტრუქტურისა ციის (ახალ კრედიტად გაფორმებას).

სესხების რესტრუქტურისა ციის აქცია ძალაშია 31 დეკემბრამდე და მოქმედებს მხოლოდ შემდეგი ტიპის სესხებზე:

\* განვადება, სამომხმარებლო სესხები, საკრედიტო ბარათები, პნლმ ბარათები;

\* სესხები, რომელთა ვადაგადაცილება აღემატება 90 დღეს;

მსესხებლის მიერ თავისი ძირითადი დავალიანების (ჯარიმების გარდა) სრულად დაფარვის შემთხვევაში, მას ეპატიება (ჩამოენერება) ჯარიმების 100%

ძირითადი დავალიანების მინიმუმ 30%-ის დაფარვის შემთხვევაში (ძირი+პროცენტი+საკომისიო), მსესხებელს ეპატიება ჯარიმების 30%, ხოლო დარჩენილ ძირითად თანხაზე მას გაუფორმდება ახალი კრედიტი (განახლებული გრაფიკით).

აქციის ფარგლებში დავალიანების დასაფარად, მსესხებლებს შეუძლიათ მიმართონ ტაოპრივატბანკის სერვის-ცენტრს თბილისში (ნერეთლის გამზირი 116, პირველი სართული (შენობის ბოლოში)) და რეგიონალურ განყოფილებებს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში; +99532555555

ისარგებლეთ ტაოპრივატბანკის უპრეცედენტო შეთავაზებით და დაფარეთ თქვენი დავალიანება ჯარიმების გარეშე!



მთავარი რედაქტორი  
გურამ ლომთაძე

რ ე ღ კ ლ ე მ ბ ი ა :  
ზურაბ ლომთაძე, ლერი ბიჭიაძე, ტარიელ სალაძე,  
ლალი მუშლაძე, მარინა ჯუღელი

გაზეთი ააწყო და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის  
შ.პ.ს. „სოფლი მწ“—ის ტაბაში  
მის: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 33  
ტელ: 2-37-11